

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ ჩემპიონი-2 “

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2021

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩემპიონი -2“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-19
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. საადრინცხო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	13
შენიშვნა 5. ამონაგები	14
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	14
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	14
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	15
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	15
შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები	17
შენიშვნა 11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	17
შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
შენიშვნა 13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	18
შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	18
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	19
შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩემპიონი-2“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჩემპიონი -2“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2021 წლის 26 სექტემბერი**.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია

დირექტორი

2021 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჩემპიონი - 2"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2020 წ	31,12,2019 წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	9	3 390 655	3 535 177
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	10	1 425	499
სხვა გრძელვადიანი აქტივები		24 307	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		3 416 388	3 535 676
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	45 552	67 179
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	632 685	621 930
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	18 362	125 066
სხვა მიმდინარე აქტივები		214	19 603
მთლიანი მიმდინარე აქტივები		696 813	833 778
სულ აქტივები		4 113 200	4 369 454
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	711 310	731 077
საგადასახადო ვალდებულებები		32 590	26 790
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		15 765	22 076
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		759 665	779 943
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		1 798 938	1 626 112
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 798 938	1 626 112
მთლიანი ვალდებულებები		2 558 603	2 406 055
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება		1 552 597	1 961 398
დაუფარავი ზარალი			
მთლიანი კაპიტალი		1 554 597	1 963 398
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4 113 200	4 369 454

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” ჩემპიონი - 2”

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	410 126	632 924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(215 958)	(474 191)
საწყისი ნაშტი		(67 179)	(1 136 711)
შემენილი ნედლეული და მასალები		(194 331)	595 341
საბოლოო ნაშტი		45 552	67 179
საოპერაციო მოგება		194 168	158 733
სხვა შემოსავლები	6	46 930	50 278
კომერციული ხარჯები		(2 579)	(9 943)
ცვეთა და ამორტიზაცია		(172 878)	(91 957)
შრომის ანაზღაურება		(108 397)	(104 066)
ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
სხვა ხარჯი	7	(242 499)	(157 960)
ფინანსური ხარჯები	8	(123 547)	(98 160)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		(408 801)	(253 075)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდი წმინდა მოგება-ზარალი		(408 801)	(253 075)

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ჩემპიონი -2"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
01,01,2019	2 000	-	2 274 473	-	2 276 473
გაცემული დივიდენდი			(60 000)		(60 000)
მოგება წლის განმავლობაში			(253 075)		(253 075)
საწესდებო კაპიტალი					-
31,12,2019	2 000	-	1 961 398	-	1 963 398
გაცემული დივიდენდი					-
მოგება წლის განმავლობაში			(408 801)		(408 801)
საწესდებო კაპიტალი			-		-
31,12,2020	2 000	-	1 552 597	-	1 554 597

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " ჩემპიონი -2"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31,12,2020	31,12,2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგანმიღებული ფულადი სახსრები	474 672	840 765
მიმწოდებლებზე გადახდილი ფული	(446 407)	(1 236 506)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	87 818	(99 562)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	116 083	(495 303)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(100 351)	(508 080)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	36 745	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა წმინდა ფულადი სახსრები	(63 606)	(508 080)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	32 878	1 342 815
გადახდილი სესხები	(74 657)	(154 644)
გადახდილი პროცენტები	(123 547)	(97 336)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	6 685	20 945
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(540)	(540)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(159 181)	1 111 240
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(106 704)	107 857
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	125 066	17 209
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	18 362	125 066

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჩემპიონი -2“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს ბათუმის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 14 ივლისს, საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო ბათუმი დაბა ხელვაჩაური, დავით აღმაშენებლის ქ. N 9, საწარმოს საინდივიდუალური კოდი 248416432. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი : ხათუნა იმნაძე (61001030768) - 100 % მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა დამამუშავებელი მრეწველობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ზიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ისე კომენდანტის საათის განმავლობაში, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოყენებული უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საქონლის რეალიზაციიდან	228 161	472 609
მომსახურების გაწევიდან	181 965	160 315
ჯამი	410 126	632 924

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	33 534	28 533
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	6 797	21 745
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო შეღავათი)	6 600	-
ჯამი	46 930	50 278

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საკანცელარიო ხარჯი	52	205
ავტომობილისა და დაზღა დანად. საექსპლუატაციო ხარჯი	1 619	3 167
კომპიუტერის ხარჯები	13	246
საკონსულტაციო ხარჯები	-	10 250
ქონების ხარჯი (მათ;შორის მიწა)	10 627	9 929
საბანკო მომსახურების ხარჯი	667	4 297
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	594	8 614
უარყოფითი კურსთაშორის სხვაობა	214 177	103 759
კონსულტაციური ხარჯები	10 699	3 412
კომუნიკაციის ხარჯები	357	2 552
სხვადასხვა წრვილმანი ხარჯი	533	5 640
სოციალური ხარჯები (საპენსიო)	3 161	5 889
ჯამი	242 499	157 960

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
* საპროცენტო ხარჯები	123 547	98 160
* ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
ბ) ზარალი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ		
გ) ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები%+საკომისიო		
საპროცენტო ხარჯები ფინანსური ვალდებულებიდან,		
დ) რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით		
მ.შ. უცხოური ვალუტაში აღებული სესხების		
საპროცენტო დანახარჯების მაკორექტირებელი საკურსო სხვაობა		
ჯამი	123 547	98 160

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი
შეძენის ღირებულება	31,12,2020			31,12,2019
მიწის ნაკვეთები	1 050 497	-		1 050 497
დაუმთავრებელი მშენებლობა	8 711	25 118	58 682	42 275
შენობები	2 040 621	-	-	2 040 621
ნაგებობები	308 159	58 682		249 477
მანქანა დანადგარები	167 870	59	200	168 011
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	50 600	381		50 218
ოფისის აღჭურვილობა	22 715	762		21 954
ავეჯი და სხვა ინვენტარი	128 033	41	636	128 628
სატრანსპორტო საშუალებები	140 570	-	47 710	188 280
ჯამი	3 917 776	85 043	107 228	3 939 961

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ცვეთა	31,12,2020	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31,12,2019
მიწას ნაკვეთი	-			-
შენობის ცვეთა	220 535	-	95 105	125 429
ნაგებობების ცვეთა	99 660	-	10 645	89 015
მანქანა დანადგარების ცვეთა	43 456	-	28 333	15 124
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები სვეთა	10 960	-	3 253	7 707
ოფისის აღწურვილობის ცვეთა	14 588	-	1 993	12 594
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	37 958	241	22 662	15 537
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	99 964	50 104	10 690	139 378
ჯამი	527 121	50 345	172 682	404 784
საბალანსო ღირებულება	3 390 655			3 535 177

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის

რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო

(ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება შემდგომი ღირებულება	ნაშთი 31,12,2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31,12,2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	1 929			1 929
არტეზიული წყალი	1 122	1 122		-
ჯამი	3 051	1 122	-	1 929

ცვეთა	31,12,2020	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31,12,2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	1 626		196	1 430
	-			-
ჯამი	1 626	-	196	1 430
საბალანსო ღირებულება	1 425			499

შენიშვნა 11. მარაგები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საქონელი	29 941	62 885
ნედლეული და მასალები	15 608	4 289
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
სხვა სასაქონლო მარაგები	4	4
ჯამი	45 552	67 179
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	225 291	474 191

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შემდგომი თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი (MIDL) მეთოდით.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	630 283	619 503
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 402	2 427
ჯამი	632 685	621 930

შენიშვნა 13. ფულადი სახსრები დაფულადი სახსრების ექვივალენტები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	594	1 122
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	169	9 412
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17 599	114 532
ჯამი	18 362	125 066

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
მიწ, მომ, წარმოქმნილი ვალდებულებები	709645	724474
მიღებული ავანსები	1665	6407
გადასახდელი ხელფასები	0	196
ჯამი	711310	731077

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენები არ განხორციელებულა

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2020 წ	2019 წ
უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	18000	24163

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 26 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბრია
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ძეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ ჩემპიონი-2 “

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2021

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-19
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. საადრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დამშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	13
შენიშვნა 5. ამონაგები	14
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	14
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	14
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	15
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	15
შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები	17
შენიშვნა 11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	17
შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
შენიშვნა 13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	18
შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	18
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	19
შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჩემპიონი-2“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 26 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:



თამაზი ჭუბინია

დირექტორი

2021 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2020 წ	31,12,2019 წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	9	3 390 655	3 535 177
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	10	1 425	499
სხვა გრძელვადიანი აქტივები		24 307	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		3 416 388	3 535 676
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	45 552	67 179
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	632 685	621 930
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	18 362	125 066
სხვა მიმდინარე აქტივები		214	19 603
მთლიანი მიმდინარე აქტივები		696 813	833 778
სულ აქტივები		4 113 200	4 369 454
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	711 310	731 077
საგადასახადო ვალდებულებები		32 590	26 790
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		15 765	22 076
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		759 665	779 943
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		1 798 938	1 626 112
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 798 938	1 626 112
მთლიანი ვალდებულებები		2 558 603	2 406 055
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება		1 552 597	1 961 398
დაუფარავი ზარალი			
მთლიანი კაპიტალი		1 554 597	1 963 398
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4 113 200	4 369 454

ხელმძღვანელის სახელით:

თამაზი ჭუბაბია
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



(Handwritten signature)

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	410 126	632 924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(215 958)	(474 191)
საწყისი ნაშტი		(67 179)	(1 136 711)
შემენილი ნედლეული და მასალები		(194 331)	595 341
საბოლოო ნაშტი		45 552	67 179
საოპერაციო მოგება		194 168	158 733
სხვა შემოსავლები	6	46 930	50 278
კომერციული ხარჯები		(2 579)	(9 943)
ცვეთა და ამორტიზაცია		(172 878)	(91 957)
შრომის ანაზღაურება		(108 397)	(104 066)
ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
სხვა ხარჯი	7	(242 499)	(157 960)
ფინანსური ხარჯები	8	(123 547)	(98 160)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		(408 801)	(253 075)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდი წმინდა მოგება-ზარალი		(408 801)	(253 075)



თამაზი კუბაშვილი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

(Handwritten signature)

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჩემპიონი -2"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
01,01,2019	2 000	-	2 274 473	-	2 276 473
გაცემული დივიდენდი			(60 000)		(60 000)
მოგება წლის განმავლობაში			(253 075)		(253 075)
საწესდებო კაპიტალი					-
31,12,2019	2 000	-	1 961 398	-	1 963 398
გაცემული დივიდენდი					-
მოგება წლის განმავლობაში			(408 801)		(408 801)
საწესდებო კაპიტალი			-		-
31,12,2020	2 000	-	1 552 597	-	1 554 597

ხელმძღვანელობის ხელმოწერა

თამაზი ჭუბაბია
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31,12,2020	31,12,2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	474 672	840 765
მიმწოდებლებზე გადახდილი ფული	(446 407)	(1 236 506)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	87 818	(99 562)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	116 083	(495 303)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(100 351)	(508 080)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	36 745	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა წმინდა ფულადი სახსრები	(63 606)	(508 080)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	32 878	1 342 815
გადახდილი სესხები	(74 657)	(154 644)
გადახდილი პროცენტები	(123 547)	(97 336)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	6 685	20 945
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(540)	(540)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(159 181)	1 111 240
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(106 704)	107 857
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	125 066	17 209
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	18 362	125 066

ხელმძღვანელის სახელით
თამაზი ჭუბუაძე
დირექტორი
2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჩემპიონი -2“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებული ორგანოს ბათუმის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 14 ივლისს, საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო ბათუმი დაბა ხელვაჩაური, დავით აღმაშენებლის ქ N 9, საწარმოს საინდივიდუალური კოდია 248416432. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი : ბათუნა იმნაძე (61001030768) - 100 % მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა დამამუშავებელი მრეწველობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი


ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ზომები შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ისე კომენდანტის საათის განმავლობაში, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი კუბაშვილი
დირექტორი



2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

[Handwritten signature]

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლოს გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბამრია
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერ,
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბულალოჭერი

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

ხელმძღვანელის სახელით

თამაზი ჭუბაბია
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაძე
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევბუღებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამაზი ჭუბაბერი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით

თამაზი ჭუბაბია
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გოზა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საქონლის რეალიზაციიდან	228 161	472 609
მომსახურების გაწევიდან	181 965	160 315
ჯამი	410 126	632 924

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	33 534	28 533
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	6 797	21 745
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო შეღავათი)	6 600	-
ჯამი	46 930	50 278

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საკანცელარიო ხარჯი	52	205
ავტომობილისა და დაზგა დანად. საექსპლუატაციო ხარჯი	1 619	3 167
კომპიუტერის ხარჯები	13	246
საკონსულტაციო ხარჯები	-	10 250
ქონების ხარჯი (მათ;შორის მიწა)	10 627	9 929
საბანკო მომსახურების ხარჯი	667	4 297
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	594	8 614
უარყოფითი კურსთაშორის სხვაობა	214 177	103 759
კონულალური ხარჯები	10 699	3 412
კომუნიკაციის ხარჯები	357	2 552
სხვადასხვა წრვილმანი ხარჯი	533	5 640
სოციალური ხარჯები (საპენსიო)	3 161	5 889
ჯამი	242 499	157 960



ხელმძღვანელობის სახელით

თამაზი ჭუბაშვილი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

[Handwritten signature]

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები

დასახელება		31,12,2020	31,12,2019
ა)	რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
*	საპროცენტო ხარჯები	123 547	98 160
*	ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
ბ)	ზარალი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
გ)	ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები%+საკომისიო		
	საპროცენტო ხარჯები ფინანსური ვალდებულებიდან,		
დ)	რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით		
	მ.შ. უცხოური ვალუტაში აღებული სესხების საპროცენტო დანახარჯების მაკორექტირებელი საკურსო სხვაობა		
ჯამი		123 547	98 160

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება შეძენის ღირებულება	ნაშთი 31,12,2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31,12,2019
მიწის ნაკვეთები	1 050 497	-		1 050 497
დაუმთავრებელი მშენებლობა	8 711	25 118	58 682	42 275
შენობები	2 040 621	-	-	2 040 621
ნაგებობები	308 159	58 682		249 477
მანქანა დანადგარები	167 870	59	200	168 011
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	50 600	381		50 218
ოფისის აღჭურვილობა	22 715	762		21 954
ავეჯი და სხვა ინვენტარი	128 033	41	636	128 628
სატრანსპორტო საშუალებები	140 570	-	47 710	188 280
ჯამი	3 917 776	85 043	107 228	3 939 961

ხელმძღვანელის სახელით

თამაზი ჭუბაბრაძე
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



(Handwritten signature)

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება შემდგომი ღირებულება	ნაშთი 31,12,2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31,12,2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	1 929			1 929
არტეზიული წყალი	1 122	1 122		-
ჯამი	3 051	1 122	-	1 929

ცვეთა	31,12,2020	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31,12,2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	1 626		196	1 430
	-			-
ჯამი	1 626	-	196	1 430
საბალანსო ღირებულება	1 425			499

შენიშვნა 11. მარაგები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
საქონელი	29 941	62 885
ნედლეული და მასალები	15 608	4 289
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
სხვა სასაქონლო მარაგები	4	4
ჯამი	45 552	67 179
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	225 291	474 191

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შემდგომი თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.



თამაზი ჭუბაბერი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

(Handwritten signature)

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	630 283	619 503
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 402	2 427
ჯამი	632 685	621 930

შენიშვნა 13. ფულადი სახსრები დაფულადი სახსრების ექვივალენტები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	594	1 122
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	169	9 412
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17 599	114 532
ჯამი	18 362	125 066

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	31,12,2020	31,12,2019
მიწ, მომ, წარმოქმნილი ვალდებულებები	709645	724474
მიღებული ავანსები	1665	6407
გადასახდელი ხელფასები	0	196
ჯამი	711310	731077

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენები არ განხორციელებულა



ხელმძღვანელის სახელი:

თამაზი კუბაშვილი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2020 წ	2019 წ
უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	18000	24163

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 26 სექტემბერი.



ხელმძღვანელობის სახელით

თამაზი ჭუბაბერი
დირექტორი

2021 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ჯავახიშვილი
ბუღალტერი